ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს

აზიის განვითარების ბანკს

ევროპის საინვესტიციო ბანკს

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს

ასლი: აღნიშნული ბანკების გასაჩივრების მექანიზმებს

მესტიის მუნიციპალიტეტის, ჭუბერის თემის, სოფელი ლახამის მაცხოვრებლების

მიმართვა პროექტთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე

2016 წლის ზამთარში სოფელი ლახამის მცხოვრებლებს ხელში ჩაგვივარდა ნენსკრა ჰესთან დაკავშირებით არსებული რუკა (იხილეთ თანდართულ დოკუმენტად), სადაც ე.წ. „ყვითელ ხაზებში“ (კონტრაქტორის სამუშაო არეალი) მოქცეულია პრაქტიკულად მთელი სოფლის ტერიტორია, მაშინ როდესაც არც გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში და არც დამატებით გამოქვეყნებულ დოკუმენტებში აღნიშნული რუკა და სოფელი ლახამი საერთოდ არ არის ნახსენები. საკითხის გარკვევის მიზნით, რამდენჯერმე მივმართეთ (პირადი შეხვედრები, საჯარო განხილვები, საპროტესტო აქციები) კონტრაქტორებსა და კომპანიის წარმომადგენლებს, თუმცა უშედეგოდ. ჩვენს ეჭვებს აძლიერებს ის ფაქტი, რომ უცნობია, სად გაივლის პროექტთან დაკავშირებული 220 კვ გადამცემი ხაზი. ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი) მდებარეობიდან და ხეობის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ ხაზმა სწორედ სოფლის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს.

უფრო მეტიც, როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ირკვევა, აღნიშნული ხაზი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა (მისასვლელი გზა, ქვესადგური) საერთოდ არ წარმოადგენს პროექტის ნაწილს და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, რაც ყოვლად მიუღებელია მისი რეპუტაციიდან გამომდინარე (ფასანაურის მოსახლეობის დარბევა 500 კვ მშენებარე გადამცემი ხაზის გამო, აჭარის გადამცემი ხაზები).

დოკუმენტის მიხედვით, გადამცემი ხაზი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს „პროექტთან დაკავშირებულ ობიექტს“, რომელსაც ააშენებს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ხოლო დეტალური პროექტირება და მშენებლობა იგეგმება 2018-2019 წლებში. შესაბამისად, აღნიშნული ხაზის მარშუტი და მისი ზემოქმედება ჩვენზე, სოფელზე ჯერ განსაზღვრული არ არის. იმის გათვალისწინებით რომ ჩვენს ხელთ არსებულ რუკაზე

ნათლად ჩანს „ყვითელ ხაზებში“ სოფელი ლახამი, ნათელია, რომ ხაზის გატარება სწორედ ჩვენს სოფელზე მოხდება.

აქვე ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არ არის შეფასებული 220 კვ გადამცემი ხაზი პროექტთან ერთად კომპლექსურად. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა წარმოადგენს თქვენი ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკების მოთხოვნების დარღვევას (EBRD გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა; პარაგრაფი 30 (iii)).

კიდევ ერთი პრობლემური საკითხი უკავშირდება ნარჩენების განთავსებას. დოკუმენტის მიხედვით, „ნარჩენების განთავსების ადგილი ჰიდროელექტროსადგურის შენობასთან (სოფ. ლახამის მოპირდაპირე მხარე) იგეგმება, სადაც 570,000 m^3 უნდა დაიყაროს სხვადასხვა ადგილზე 16 ჰექტარზე მეტ ფართობზე (3.5 მეტრ სიმაღლეზე), საიდანაც 300,000 m^3 მიიღება წყალსატარი გვირაბის გათხრის სამუშაოებიდან და 270,000 m^3 კონსტრუქციებისთვის მიწის სამუშაოებიდან. ნარჩენების განთავსების ადგილების განლაგება ჯერ კიდევ გამოკვლევის პროცესში იყო, როცა დოკუმენტი მომზადდა.“ ჩანაწერიდან ნათელია, რომ პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სოფლისთვის შესწავლილი არ არის ან როგორც მინიმუმ არ არის გამოქვეყნებული. ამასთან გაუგებარია, რაც ნიშნავს „სხვადასხვა ადგილი“ ხეობის თავისებურებიდან გამომდინარე? ვფიქრობთ ასეთი საკითხის შეუსწავლელობა, ასევე წარმოადგენს თქვენი პოლიტიკების უხეშ დარღვევას (EBRD გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა; პარაგრაფი 30 (i)).

და ბოლოს, პროექტში არ არის შეფასებული ჰესის ზემოქმედება ხეობის მიკროკლიმატზე. აქცენტი კეთდება მხოლოდ რეზერვუარზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (სოფელ ტიტამდე) და საერთოდ არ არის ნახსენები დაგეგმილი ნენსკრა ჰესისა და სხვა ჰესების გამო გამოწვეული ზემოქმედება მდინარეში წყლის მოცულობის მკვეთრ შემცირებაზე და შესაძლო შედეგებზე.

კერძოდ, მდ. ნენსკრა და მისი შენაკადები წარმოადგენს ჭუბერში არსებული კლიმატის განსაზღვრის ძირითად ფაქტორს. მდინარეში მხოლოდ 5%-ის დატოვების შემთხვევაში (როგორც ეს დოკუმენტებშია წარმოდგენილი), ტემპერატურა ხეობაში მნიშვნელოვნად შეიცვლება (მოიმატებს ტემპერატურა ზაფხულში), რაც ზემოქმედებას იქონიებს როგორც მოსავალზე, ისე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, რის გამოც შეუძლებელი გახდება სოფელში ცხოვრება. ამ საკითხის გაუთვალისწინებლობა გამოქვეყნებული დოკუმენტის ნაკლოვანებას წარმოადგენს და არღვევს თქვენს, ბანკების პოლიტიკას (EBRD გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა; PR 1, პარაგრაფი 8).

იმის გათვალისწინებით თუ რამდენი ფართობის მიტაცება მოხდება ზემოჩამოთვლილი ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად და როგორ შეიცვლება საცხოვრებელი გარემო ჭუბერში, ცხადია, რომ პროექტის განხორციელება მიმართულია ჩვენი სოფლის დაცლისკენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, ადგილი აქვს თქვენი, ბანკების, პოლიტიკების მრავალჯერად უხეშ დარღვევას, ხოლო მეორეს მხრივ, საფრთხე ექმნება სოფელი ლახამის არსებობას.

პროექტი არ განიხილავს ნენსკრა ჰესის, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტრის და ასევე მდ. ლახამზე დაგეგმილი 16 მგვტ ჰესის და მისი ინფრასტრუქტურის ერთობლივ (კუმულაციურ) ზემოქმედებასაც სოფელ ლახამზე, რაც ასევე არღვევს თქვენი ბანკის შესაბამის პოლიტიკას (EBRD გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა; PR 1, პარაგრაფი 9).

ამასთან მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმაში მითითებულია, რომ „მიწაზე წვდომა სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო იქნება 2017 წლის ივნისისთვის ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკისა და ნაგავსაყრელი უბნებისთვის, ისევე როგორც ელექტრომომარაგების ხაზებისთვის. აქედან გამომდინარე, განახლებული LALRP ამ კომპონენტებისთვის მომზადდება 2017 აპრილში. ნენსკრას გზის მოდერნიზაცია უნდა დაიწყოს 2017 წლის ოქტომბერში და განახლებული LALRP, რომელიც ამ საკითხს მოიცავს, მომზადდება 2017 წლის ივლისში". პირდაპირ გვინდა, განვაცხადოთ, რომ კომპანიის მხრიდან ამავე დოკუმენტის მეთოდოლოგიით განსაზღვრული ქმედებები არ განხორციელებულა, კერძოდ, არ ჩატარებულა სოფელში მცხოვრები ოჯახების სოციო-ეკონომიკური კვლევა, არ მომხდარა კარდაკარ სიარული და ოჯახების გამოკითხვა და სხვა მეთოდოლოგიით განსაზღვრული ქმედებები. არ გამოქვეყნებულა განახლებული LALRP და გაუგებარია, რას უნდა დაეფუძნოს ის. ეს ეწინააღმდეგება დოკუმენტში მოცემულ დაპირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენთვის მიუღებელია აღნიშნული პროექტი, როგორც ის არის დღეს წარმოდგენილი. შესაბამისად, ვითხოვთ, ბანკებმა უზრუნველყოთ პროექტის შეფასება თქვენი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკების მოთხოვნებთან მიმართებაში და მოგიწოდებთ, გადაწყვეტილების მიღებამდე, უზრუნველყოთ კლიენტისგან (ქეი ვოთარი და სახელმწიფო):

- გადამცემი ხაზების მარშუტისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის სოფელ ლახამზე აცილება;
- პროექტთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ყველა კომპონენტის ინტეგრირება პროექტში (მიკროკლიმატის ცვლილება, ნარჩენების განთავსება, გადამცემი ხაზები და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა) და მოხდეს მათი კომპლექსური შეფასება.

კომუნიკაცია კომპანიასთან, სახელმწიფოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან

- კოლექტიური წერილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს; 10 ივლისი, 2017: http://greenalt.org/wp-content/uploads/2017/07/mimartva_xelmocerebi2017.pdf
- ჭუბერის თემის პასუხი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს; 23 მაისი 2016: http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/05/EBRD_response_of_chuberi.pdf
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვიტარების ბანკის პასუხი ჭუბერის თემს; 6 მაისი, 2016: http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/05/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%AE%

E1%83%98_%E1%83%AD%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%A1.pdf

- ჭუბერის თემის მიმართვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, მთავრობას სახალხო დამცველს; 18 აპრილი, 2016: http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/04/mimarTva_chuberidan_2016.pdf
- საპროტესტო აქციები 2016 წელს: თებერვალი, აპრილი, მაისი;
- მონაწილეობა საჯარო განხილვებში;
- პირადი შეხვედრები იტალიელ ქვეკონტრაქტორთან, კორეულ ქეი-ვოთარსთან და საქართველოს საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლებთან;

სოფელი ლახამის წარმომადგენლები:

1. [illegible] ს.ნ. 30001006200. მობ. +995 599 14-64-05 ი. [illegible]

2. [illegible] ს.ნ 30001006201 მობ. 599-46-79-78 ლ. [illegible]

3. [illegible] ს.ნ 3000100 8523 მობ +995 599 - 69.15 81 ლ. [illegible]

4. [illegible] ს.ნ. 3000 100 7572 +995 597 · 71-68-49 [illegible]

5. [illegible] ს.ნ. 30001003794 მობ. 599 27-11-40 [illegible]

6. [illegible] ს.ნ 30001006718 [illegible]

7. [illegible] ს.ნ 3000 100 8715

მობ + 995 599 25-47 20 ნ. [illegible]

8. [illegible] ს.ნ. 30001006933. [illegible]

9. [illegible] ს.ნ. 30001006567 598.71-22-45

10. [illegible] ს.ნ 30001008218 551 27-14-17 [illegible]

12. ვარსკვლავიანი ნანა პ.ნ. 3000 1008364 ნ. [illegible] 598-89-11-29.

13 ჩხვამიძე ნაზი პ.ნ. 30001008458 - ნ. ჩხვამ[illegible]

14 ლ. ხარაზიშვილი პ.ნ. 30001008069 ლიანა ხარაზ[illegible]

15. მ. ჯანიკ[illegible] პ.ნ. 61006017867. მარინე ჯანიკ[illegible] 579269219.

16. [illegible] [illegible] პ.ნ. 30001004080 - 599-18-84-77. [illegible]

17. [illegible] [illegible] პ.ნ. 30001001193 - 579-90-10-52.

18. [illegible] პ.ნ. 30001005344 " " [illegible]

19. [illegible] [illegible] პ.ნ. 30001003691 598 95-12-92 [illegible]

20 მაყვალა ჩხვამიძე პ.ნ. 30001008198 მ. ჩხვამ[illegible]